საქართველოს კანონი

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30, 27.07.2006, მუხ. 235) მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. დაზარალებულის წერილობითი მიმართვის საფუძველზე ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს, რომ პირს, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან იმავე კოდექსის 11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის და რომელიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარებისთვის მოთავსებულია სტაციონარში, არ ჰქონდეს დაზარალებულთან ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საშუალებებით კომუნიკაციის შესაძლებლობა.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტით დადგენილი წესი ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზე, როდესაც პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან იმავე კოდექსის 11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის და იგი არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევისთვის მოთავსდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის ან პატიმრობის კოდექსის შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

20 სექტემბერი 2019 წ.

N5028-Iს